

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ.ვანი თავისუფლების N65

13 აპრილი 2018 წელი

12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, გია ხარაბაძე, რობიზონ ფუტყარაძე, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, პაატა ხურციძე, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე. (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის , საპრივატიზებო ობიექტთა მუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს: /ზვიად კაპანაძე/

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ბატონმა ზვიად კაპანაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის , საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე და განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილ იქნას მუნიციპალური საკუთრების შემდეგი ობიექტები:

წარმოდგენილი მუნიციპალური საკუთრების ობიექტების ჩამონათვალი დანართის სახით თან ერთვის.

კომისიის წევრებისგან დაისვა კითხვა; რა ღირს 1 კვ მიწის ნაკვეთი? მომხსენებელმა განმარტა, რომ 1 კვ მიწის ნაკვეთი ღირს 40 თეთრი მაგრამ, მიწასაც გააჩნია თუ სად მდებარეობს და როგორ ადგილას. კომისიის მხრიდან სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა

გადაწყვეტეს:

დამტკიცდეს და მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის , საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად
/დანართი N2/

მომხრე - 8
წინააღმდეგი - არცერთი

კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოწონებულია კომისიის მიერ და საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე დასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების

დაინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე